ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 343

6 აგვისტო
"---"-------- 2021 წ

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, მუხიანის დასახლება, I მიკრო/რაიონში, კორპუსი 5-ის მიმდებარედ არსებული 638 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ. №01.11.13.002.096) პირდაპირი განკარგვის წესით ა(ა)იპ - ქართული საბრძოლო ხელოვნების ეროვნული ფედერაცია ხრიდოლისთვის (ს/ნ. 400013178) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, მუხიანის დასახლება, I მიკრორაიონში, კორპუსი №5-ის მიმდებარედ არსებული 638 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ. №01.11.13.002.096) პირდაპირი განკარგვის წესით ა(ა)იპ - ქართული საბრძოლო ხელოვნების ეროვნული ფედერაცია ხრიდოლისთვის (ს/ნ 400013178) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 8 ივლისის №21.950.1053 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, მუხიანის დასახლება, I მიკრო/რაიონში, კორპუსი 5-ის მიმდებარედ არსებული 638 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ. №01.11.13.002.096) პირდაპირი განკარგვის წესით ა(ა)იპ - ქართული საბრძოლო ხელოვნების ეროვნული ფედერაცია ხრიდოლისთვის (ს/ნ. 400013178) ინვესტიციის განხორციელების პირობით იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, ზემოაღნიშნული მთავრობის განკარგულების დანართით განსაზღვრული საიჯარო პირობების შესაბამისად.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური სიმბოლური ფასის - 1 (ერთი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე